

შპს ვეიფორია

ს/კ 406175963

ფინანსური ანგარიშგება 2023

შპს „ვეიფორია“

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ვეიფორია“

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

მოგება-ზარალის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	7
4. ძირითადი საშუალებები	13
5. არამატერიალური აქტივები	14
6. მარაგები	14
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
8. ფული და ფულის ექვივალენტები	15
9. მიღებული სესხები	15
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
11. საგადასახადო ვალდებულებები	16
12. შემოსავალი	16
13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	16
14. სხვა შემოსავალი	16
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	16
16. საგარანტიო ანარიცხები	16
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
18. ბალანსის შემდგომი მოვლენები	17
19. ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღი	17

შპს „ვეიფორია“ს

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

	Notes	2023	2022	2021 საბოლოო
ამონაგები		12,333,331	13,881,362	5,525,286
რელიზაციის თვითღირებულება	22	(6,282,947)	(8,241,031)	(3,274,133)
საერთო მოგება		6,050,384	5,640,331	2,251,153
სხვა საოპერაციო შემოსავალი			400	
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	23	(3,234,076)	(1,531,410)	(501,575)
მიწოდების ხარჯები		(2,092,560)	(810,257)	(37,710)
საოპერაციო მოგება		723,748	3,374,924	1,711,868
ფინანსური ხარჯი	24	(165,187)	(111,631)	(35,789)
გაცვლითი კურსის წმინდა ეფექტი	25	(19,342)	(55,925)	(24,231)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	26	12,621	-	4,956
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	27	(13,335)	(11,925)	-
მოგება დაბეგვრამდე		538,505	3,195,443	1,656,804
მოგების გადასახადის ხარჯი		(157,895)	(75,860)	-
წლის წმინდა მოგება		380,610	3,119,583	1,656,804
სხვა სრული შემოსავალი				
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		380,610	3,119,583	1,656,804

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები					
გრძელვადიანი აქტივები					
ძირითადი საშუალებები	1	1,735,298	613,962	383,255	27,380
არამატერიალური აქტივები	2	64,154	5,042	527	635
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,799,452	619,004	383,782	28,015
მოკლევადიანი აქტივები					
გადახდილი ავანსები	3	278,124	363,402	-	35,685
მარაგები	4	3,232,799	2,637,079	941,028	168,743
საგადასახადო აქტივები	5	3,811	56,978	48,157	-
მოთხოვნები და სხვა დებიტორული დავალიანება	6	178,134	2,314,570	1,584,812	1,705
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	353,958	127,675	417,171	77,803
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,046,826	5,499,704	2,991,168	283,936
სულ აქტივები		5,846,278	6,118,708	3,374,950	311,951
კაპიტალი და ვალდებულებები					
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	8	-	-	-	(85,000)
გაუნაწილებელი მოგება	9	(4,032,912)	(4,547,038)	(1,874,820)	(218,736)
გადაფასების რეზერვი	10	-	-	-	-
სულ კაპიტალი		(4,032,912)	(4,547,038)	(1,874,820)	(303,736)
გრძელვადიანი ვალდებულებები					
მიღებული სესხები	11	(1,585,859)	(1,421,652)	(1,450,617)	(3,927)
ფინანსური იჯარის ვალდებულება	12	(61,271)	(133,692)	(39,535)	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		(1,647,130)	(1,555,344)	(1,490,152)	(3,927)
მოკლევადიანი ვალდებულებები					
საგადასახადო ვალდებულება	13	(15,240)	(8)	-	-
გასაცემი ხელფასები	14	(19,316)	(4,066)	(8,276)	(86)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	15	(131,680)	(12,252)	(1,702)	(4,202)
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		(166,236)	(16,326)	(9,978)	(4,288)
სულ ვალდებულებები		(1,813,366)	(1,571,670)	(1,500,130)	(8,215)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		(5,846,278)	(6,118,708)	(3,374,950)	(311,951)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწი- ლებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	1,874,820	1,874,820
წლის წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	3,119,583	3,119,583
დივიდენდის გაცემა	-	-	(447,365)	(447,365)
ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	4,547,038	4,547,038
წლის წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	380,610	380,610
დივიდენდის გაცემა	-	-	(894,736)	(894,736)
ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	4,032,912	4,032,912

შპს „ვეიფორია“-ს დირექტორი

ვ. დარახველიძე

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ვეიფორია“ (406175963) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო და საცალო ვაჭრობა ელექტროსიგარეტებით მისი აქსესუარებითა და სხვა პროდუქციით. კომპანია დაფუძნდა 2016 წელს. მისი დირექტორი დაფუძნებიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე არის ვაჟა დარაბეულიძე. (01006015736).

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ვაჟისუბნის ქუჩა, №14, მანსარდა №19

ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. N71, ბლოკი 10, ოფისი 2

კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2021 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2021 წლის 1 იანვრისთვის, კომპანიას არ გამოუყენებია მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“ - მიხედვით მოცემული შედავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2021 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმომოხილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმომოხილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022, 2021, წლის 31 დეკემბერსა და 2021 წლის 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,7020	2,8844
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753

2022 წლის 1 იანვრისათვის

3,0892

3,4991

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება

ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
მენობა ნაგებობები	40 წელი
საოფისე აღჭურვილობა	3-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-8 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
იჯარიდ აღებული ქონების კეთილმოწყობა	10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 7-15 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს საადრიცხვო პროგრამას და პატენტს.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალსე ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში.

2.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდით.

2.10 საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.13 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და აღარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამოძწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და

დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

1. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	საოფისე აღჭურვილობა	ავტო- სახე ინვენტარ ი	ავტო- ტრანსპორტ ი	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	308683	42722	53290	218866	51034	674595
შემოსვლა	448966	166082	254541		321816	1191405
გასვლა		-589	-1232			-1821
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	757649	208215	306599	218866	372850	1864179

დაგროვილი ცვეთა

დაგროვილი ცვეთა 31.12.2022		-11599	-13723	-18666	-16647	-60635
ცვეთა						
გასულების დაგროვილი ცვეთა		427	313			
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	-8487	-17031	-17769	-20020	-19319	-82626

წმინდა საბალანსო ღირებულება

წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022	308683	31123	39567	200200	34387	613960
---	--------	-------	-------	--------	-------	--------

წმინდა საბალანსო ღირებულება
31.12.2023

749162

184780

284292

180180

336884

1735298

1. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება

პროგრამული
უზრუნველყოფა

პატენტები

სულ

ისტორიული ღირებულება 31.12.2022

0

5041

5041

შემოსვლა

61514

2444

63958

გასვლა

0

ისტორიული ღირებულება 31.12.2023

61514

7485

68999

დაგროვილი ცვეთა

დაგროვილი ცვეთა 31.12.2022

0

0

ცვეთა

4322

523

დაგროვილი ცვეთა 31.12.2023

4322

523

წმინდა საბალანსო ღირებულება

წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2022

0

5041

5041

წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2023

57192

6962

64154

3. მარაგები

31.12.2022

საქონელი

2,637,079

სულ

2637079

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 6282968 ლარი (2022 წელს 8241031 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი (2022 წელს 6855 ლარი), იგი ჩართულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლში.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	31.12.2023
სხვა მოთხოვნები	169,030
სულ	9103
	178,134

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	31.12.2023
სულ	353,958
	353,958

6. სესხები

გრძელვადიანი	31.12.2023
საბანკო სესხები	(1,421,652)
ფინანსური იჯარის ვალდებულება	(61,271)
	(1,647,130)
მოკლევადიანი	
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	164,207
ფინანსური იჯარის ვალდებულება	61,271
	236,627
სულ სესხები	1,647,130

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშგებო პერიოდში მოხდა 2,346,660 ლარის სესხის დაფარვა და იქნა აღებული ახალი სესხი 2,511,406 ლარის ოდენობით. გაცვლითი კურსის ეფექტმა შეადგინა 539 ლარი

ფინანსური იჯარის მთლიანი ვალდებულება - მომავალი საიჯარო გადასახდელები

1 წელზე ნაკლები

2 წელი

58519

2752

ჯამი

61,271

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31.12.2023

სავაჭრო ვალდებულებები

97,956

სხვა ვალდებულებები

33,724

სულ

131,680

8. ამონაგები

2023

საქონლის გაყიდვა

12,281,770

მომსახურების გაწევა

51,561

სულ

12,333,331

9. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

2023

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

19,342

სულ

19,342

10. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2023
შრომის ანაზღაურება მთლიანად	1,790,730
სულ	1,790,730

11. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ბალანსის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნება აუცილებელია.

12. ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია და გამოსაცემად მზად არის 2024 წლის 30 აპრილს

შპს „ვეიფორია“-ს დირექტორი

3. დარახველიძე

